



საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო



გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ხარისხის წელიწდეული

გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს ღაბინაჟრების
მონიტორინგის დეპარტამენტის 2017 წლის მონაცემები

თბილისი 2018

სარჩევი

| | |
|--------------------------------------|----|
| შესავალი | 3 |
| შავი ზღვის აუზის მდინარეები | 5 |
| კასპიის ზღვის აუზის მდინარეები | 35 |
| ტბები და წყალსაცავები..... | 61 |
| ლისისა და კუს ტბები..... | 64 |
| ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი..... | 66 |

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დონის ბუნებრივი და ანთროპოგენური დატვირთვით გამოწვეული დაბინძურების ხარისხის დადგენა, ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სტაციონარული პუნქტებისა და ექსპედიციების მეშვეობით ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ატმოსფერული ნალექების, შავი ზღვის და ნიადაგის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებაზე, აგრეთვე ბუნებრივ რადიაციულ ფონზე რეგულარული დაკვირვებების წარმოება და გარემოს ფიზიკური ფაქტორების (ელექტრომაგნიტური ველი, ხმაური და სხვა) დონეების განსაზღვრა.

წელიწადეული შედგენილია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ ზედაპირული წყლების დაბინძურების ხარისხის შესწავლის საფუძველზე, რომელთა წყლის ხარისხის დაბინძურებაზე დაკვირვებას აწარმოებს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი.

წელიწადეულში წარმოდგენილია გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის მიერ ზედაპირულ წყლებზე ჩატარებული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების შედეგები, ასევე ჰიდროლოგიური კვლევის შედეგები.

2017 წელს სულ აღებული იქნა 1000 ზედაპირული წყლის სინჯი. აქედან შავი ზღვის აუზის 44 მდინარის 70 კვეთზე - 408 სინჯი, კასპიის ზღვის აუზის 35 მდინარის 62 კვეთზე - 560 სინჯი, 8 ტბისა და 2 წყალსაცავის 15 კვეთზე - 15 სინჯი და აგრეთვე საბანაო სეზონის დროს თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბების 3 კვეთში აღებული იქნა 17 სინჯი.

წყლის სინჯებში ისაზღვრებოდა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მთავარი იონები, ბიოგენური ნაერთები, ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება, pH, მძიმე ლითონები და სხვა. ზოგიერთ სინჯში დგინდებოდა ასევე მიკრობიოლოგიური დაბინძურება, ხოლო ზოგიერთ მდინარეში აგრეთვე ჩატარდა ჰიდრობიოლოგიური კვლევა.

წელიწადეული მომზადებულია გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თამარ მაღლაკელიძის მიერ. წელიწადეულის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა მარინა ზულიევამ.

პასუხისმგებელი შემსრულებელი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მარინე არაბიძე.

ტერმინთა განმარტება

ზდკ (ზდკ – ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია) – მაქსიმალური კონცენტრაცია, რომლის დროსაც ნივთიერება არ ახდენს პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ორგანიზმზე მთელი ცხოვრების მანძილზე მოქმედებისას) და არ აუარესებს წყალმობმარების ჰიგიენურ პირობებს. რიცხვითი მნიშვნელობა ზდკ-ს წინ აჩვენებს რამდენჯერ მეტია მოცემული ნივთიერების ანალიზის შედეგად მიღებული კონცენტრაცია ამავე ნივთიერების შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე.

ჟბმ - გახსნილი ჟანგბადის რაოდენობა, რომელიც საჭიროა აერობული ბიოლოგიური ორგანიზმებისათვის წყლის ობიექტში კონკრეტული დროის განმავლობაში გარკვეულ ტემპერატურაზე წარმოქმნილი ორგანული ნაერთების დაშლისთვის.

ჟქმ - ჟანგბადის ქიმიური მოხმარება, ჟანგბადის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ყველა ორგანული ნივთიერებების ჟანგვისთვის წყალში.

შავი ზღვის აუზის მდინარეები

ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 44 მდინარის 70 კვეთზე. სულ აღებული იქნა წყლის 408 სინჯი.

მდ. რიონი (ზოგადი დახასიათება) - მდ.რიონზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 6 კვეთზე: ქუთაისი ზედა, ქუთაისი ქვედა, ს.ჭალადიდი, ფოთი სამხრეთ შენაკადი, ფოთი ჩრდილოეთ შენაკადი (ნაბადასთან) და ქ. ონი. სულ აღებული იქნა 72 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.86-2.99 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.04-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.443 მგN/ლ (1.1 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა მდ. რიონის ქვედა კვეთზე ქ. ქუთაისთან მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 145.8-273.5 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 273.5 მგ/ლ აღინიშნა თებერვლის თვეში ქ. ონთან. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.85 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1898 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.85 მგ/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა ივლისში მდ. რიონის ქვედა კვეთზე ქ. ქუთაისთან.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, ქ.ონი - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.86-1.82 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.04-1.03 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.262 მგN/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 1.03 მგN/ლ (2.6 ზდკ) აღინიშნა ივლისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 145.8-273.5 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 273.5 მგ/ლ აღინიშნა თებერვლის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.46 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1017 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.46 მგ/ლ (1.5 ზდკ) აღინიშნა ივლისში.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, ზედა კვეთი ქ. ქუთაისთან - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.98-2.76 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.08-1.03 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.4342 მგN/ლ (1.1 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.03 მგN/ლ (2.6 ზდკ) აღინიშნა მარტის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 162.9-249.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 249.3 მგ/ლ აღინიშნა თებერვლის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.73 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1916 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.73 მგ/ლ (2.4 ზდკ) აღინიშნა ივლისში.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, ქვედა კვეთი ქ. ქუთაისთან - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.98-2.9 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.08-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.5325 მგN/ლ (1.4 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 155.3-253.5 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 253.5 მგ/ლ აღინიშნა ოქტომბრის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.06-0.85 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2359 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.85 მგ/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა ივლისში.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, ს.ჭალადიდი - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.02-2.99 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.20-0.86 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.4483 მგN/ლ (1.1 ზდკ).

მაქსიმალური მნიშვნელობა 0.86 მგN/ლ (2.2 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 191.9-267.9 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 267.9 მგ/ლ აღინიშნა აგვისტოს თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.5 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1853 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.5 მგ/ლ (1.7 ზდკ) აღინიშნა აპრილში.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, ჩრდილოეთი შენაკადი ფოთთან - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.02-2.32 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.15-0.90 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.4150 მგN/ლ (1.1 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 0.90 მგN/ლ (2.3 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 157.8-270.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 270.3 მგ/ლ აღინიშნა თებერვლის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.04-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2012 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.42 მგ/ლ დაფიქსირდა აპრილში და ის 1.4-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. რიონი, სამხრეთი შენაკადი ფოთთან - მიმდინარე წელს აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.18-2.12 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.22-1.07 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.56 მგN/ლ (1.4 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.07 მგN/ლ (2.7 ზდკ) დაფიქსირდა დეკემბერში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.66 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2214 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.66 მგ/ლ (2.2 ზდკ) აღინიშნა აპრილის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 157.20-262.70 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 262.70 მგ/ლ აღინიშნა დეკემბრის თვეში.

ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ.ჯოჯორა - მდ. ჯოჯორას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე სოფ. ირთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.83-2.0 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.06-0.64მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.191 მგN/ლ, ხოლო ზღვრულ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0,64 მგN/ლ (1,6 ზდკ) აღინიშნა ერთხელ - აპრილის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 143.8-272.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 272.3 მგ/ლ აღინიშნა თებერვლის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.04-0.46 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1693 მგ/ლ, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 0.46 მგ/ლ (1.5 ზდკ) აღინიშნა აპრილის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, მანგანუმის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

მდ. ყვირილა (ზოგადი დახასიათება) - მდ. ყვირილას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა ოთხ კვეთში: ჭიათურა ზედა, ჭიათურა ქვედა, ზესტაფონი ზედა და ზესტაფონი ქვედა. სულ აღებული იქნა 48 სინჯი.

წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.0.79-2,92 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.08-1.19 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.461 მგN/ლ (1.2 ზდკ), ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 1.19 მგN/ლ (3.1 ზდკ) აღინიშნა მარტის თვეში ზესტაფონის ქვედა კვეთში. მინერალიზაცია მერყეობდა 101.8-318.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 318.0 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში ქ. ზესტაფონის ზედა კვეთში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.016-0.88 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1793 მგ/ლ, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 0.88 მგ/ლ (2,9 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში ჭიათურის ქვედა კვეთში. მანგანუმის კონცენტრაციები

უმეტეს სინჯებში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და მათი მნიშვნელობები მერყეობდა 0.0009-0.6015 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1604 მგ/ლ (1.6 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 0.6015 მგ/ლ (6 ზდკ) აღინიშნა ივნისის თვეში ჭიათურის ქვედა კვეთში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, ტყვიის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ყვირილა, ზედა კვეთი ქ.ჭიათურასთან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.82-2.87 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.08-0.58 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.242 მგN/ლ, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 0.58 მგN/ლ (1.5 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 101.8-214.2 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 214.2 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, ტყვიის, დარიშხანის, მანგანუმის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ყვირილა, ქვედა კვეთი ქ.ჭიათურასთან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.79-2.18 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.1-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.589 მგN/ლ (1.5 ზდკ), ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა აპრილის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 151-258.8 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 258.8 მგ/ლ აღინიშნა მარტის თვეში. მანგანუმის კონცენტრაციები მერყეობდა 0.0081-0.6015 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2432 მგ/ლ მგ/ლ (2.4 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 0.6015 მგ/ლ (6 ზდკ) აღინიშნა ივნისის თვეში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.08-0.88 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2243 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა - 0.88 მგ/ლ (2.9 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ყვირილა, ზედა კვეთი ქ.ზესტაფონთან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.98-2.16 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.18-0.9 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.471 მგN/ლ, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 0.9 მგ/ლ (2.3 ზდკ) აღინიშნა ივლისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 135.6-318 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 318 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში. მანგანუმის კონცენტრაციები მერყეობდა 0.00336-0.3308 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1416 მგ/ლ (1,4 ზდკ) . მაქსიმალური მნიშვნელობა 0.3308 მგ/ლ (3.3 ზდკ) აღინიშნა აპრილის თვეში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.04-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1852 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.42 მგ/ლ (1.4 ზდკ) აღინიშნა მარტის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, დარიშხანის, ტყვიის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ყვირილა, ქვედა კვეთი ქ.ზესტაფონთან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. წლის განმავლობაში ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.03-2.92 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.2-1.19 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.544 მგN/ლ (1.4 ზდკ), ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 1.19 მგN/ლ (3.1 ზდკ) აღინიშნა მარტის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 148.9-309.6 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 309.6 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.016-0.39 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1708 მგ/ლ, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა 0.39 მგ/ლ (1.3 ზდკ) აღინიშნა ოქტომბრის თვეში. მანგანუმის კონცენტრაციები მერყეობდა 0.0413-0.374 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2336 მგ/ლ (2.3 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 0.374 მგ/ლ (3,7 ზდკ) აღინიშნა აპრილის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, ტყვიის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ოლასკურა (ზოგადი დახასიათება) - მდ. ოლასკურას წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 2 კვეთზე: ქუთაისი ზედა და ქუთაისი ქვედა. სულ აღებული იქნა 24 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.92-3.0 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი 0.1-1.03 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.441 მგN/ლ (1.1 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.03 მგN/ლ (2.6 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში ქ. ქუთაისის ზედა კვეთში. მინერალიზაცია მერყეობდა 147.9-363.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 363.3 მგ/ლ აღინიშნა დეკემბრის თვეში ქ. ქუთაისის ქვედა კვეთში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1608 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0,42 მგ/ლ (1.4ზდკ) აღინიშნა თებერვალში ასევე ქუთაისის ქვედა კვეთში. მანგანუმის კონცენტრაცია მერყეობდა 0.01-0.2032 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0538 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.2032 მგ/ლ (2 ზდკ) აღინიშნა ქუთაისის ზედა კვეთში აგვისტოში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, დარიშხანის, თუთიის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ოლასკურა, ზედა კვეთი ქ. ქუთაისთან - მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.92-3,0 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.13-1.03 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.407 მგN/ლ, რაც უმნიშვნელოდ აღემატებოდა ნორმას. მაქსიმალური მნიშვნელობა 1.03 მგN/ლ (2.6 ზდკ) დაფიქსირდა მაისში. მინერალიზაცია მერყეობდა 147.9-361.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 361.0 მგ/ლ აღინიშნა აგვისტოს თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.04-0.39 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1699 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.39 მგ/ლ (1.3 ზდკ) აღინიშნა აპრილში. მანგანუმის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.2032 მგ/ლ-ის ფარგლებში.

მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0751 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.2032 მგ/ლ (2 ზდკ) აღინიშნა მხოლოდ ერთ სინჯში აგვისტოს თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ოლასკურა, ქვედა კვეთი ქ. ქუთაისთან - მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.98-2.92 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.1-0.98 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.476 მგN/ლ (1.2 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 0.98 მგN/ლ (2.5 ზდკ) აღინიშნა დეკემბრის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 211.0-363.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 363.3 მგ/ლ აღინიშნა დეკემბრის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1517 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.42 მგ/ლ (1.4 ზდკ) აღინიშნა თებერვლის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, თუთიის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი (ზოგადი დახასიათება) - მდ. ცხენისწყლის წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 5 კვეთზე: ცანა ზედა, ცანა ქვედა, ს.ხელადულა, დ.ლენტეხი და შესართავთან. სულ აღებული იქნა 18 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.92-2.07 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.04-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.333 მგN/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა დეკემბრის თვეში შესართავთან. მინერალიზაცია მერყეობდა 149-306.35 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 306.35 მგ/ლ აღინიშნა აგვისტოს თვეში შესართავთან. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.02-0.46 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1363 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებზე მაღალი მნიშვნელობა 0.46 მგ/ლ (1.5 ზდკ) აღინიშნა მხოლოდ ერთხელ ივლისის

თვეში შესართავთან. ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი, ცანა ზედა - სულ აღებული იქნა 2 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.26-1.91 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 211-229.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 229.3 მგ/ლ აღინიშნა ივნისის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი, ცანა ქვედა - სულ აღებული იქნა 2 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.92-1.86 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.04-0.45 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო კონცენტრაციამ შეადგინა 0.245 მგN/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.45 მგN/ლ (1.2 ზდკ) აღინიშნა ოქტომბრის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 177.6-230.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 230.1 მგ/ლ ასევე აღინიშნა ოქტომბრის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი, ს.ხელადულა - მიმდინარე წელს აღებული იქნა ერთი სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იყო 1.86 მგ/ლ, ხოლო მინერალიზაცია 188.7 მგ/ლ.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი, დ.ლენტები - მიმდინარე წელს აღებული იქნა ერთი სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იყო 1.2 მგ/ლ, ხოლო მინერალიზაცია 149 მგ/ლ.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ცხენისწყალი, შესართავთან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.99-2.07 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.06-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.43 მგN/ლ (1.1 ზდკ). მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა დეკემბრის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 168.2-306.35 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 306.35 მგ/ლ აღინიშნა აგვისტოს თვეში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.02-0.46 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.15 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებზე მაღალი მნიშვნელობა 0.46 მგ/ლ (1.5 ზდკ) აღინიშნა მხოლოდ ერთხელ ივლისის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ტყიბულა (ზოგადი დახასიათება) - მდ. ტყიბულას წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 2 კვეთზე ქ. ტყიბულის ზემოთ და ქ. ტყიბულის ქვემოთ. სულ აღებული იქნა 24 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.6-1.99 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.06-0.90 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.241 მგN/ლ, მაქსიმალური მნიშვნელობა 0.90 მგN/ლ (2.3 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში ქვედა კვეთში. მინერალიზაცია მერყეობდა 145.2-313.8 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 313.8 მგ/ლ აღინიშნა ასევე მაისის თვეში ქვედა კვეთში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.02-1.14 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1731 მგ/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 1.14 მგ/ლ (3.8 ზდკ) დაფიქსირდა აპრილში მდ. ტყიბულას ზედა კვეთში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, დარიშხანის, თუთიის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ.ტყიბულა, ზედა კვეთი ქ.ტყიბულის ზემოთ - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.6-1.94 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.06-0.64 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.197 მგ/ლ, მისი მნიშვნელობა მხოლოდ ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.64 მგN/ლ (1.6 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 145.2-313 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 313 მგ/ლ აღინიშნა აპრილის თვეში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.02-1.14 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1783 მგ/ლ. მისი მნიშვნელობა მხოლოდ ერთ, აპრილში აღებულ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და ის უდრიდა 1,14 მგ/ლ-ს (3.8 ზდკ).

ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, დარიშხანის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ.ტყიბულა, ქვედა კვეთი ქ.ტყიბულის ქვემოთ - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.75-1.99 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.08-0.90 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.130 მგN/ლ, მაქსიმალური მნიშვნელობა 0.90 მგ/ლ (2.3 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 157.4-313.8 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 313.8 მგ/ლ აღინიშნა მაისის თვეში. რკინის კონცენტრაციები მერყეობდა 0.02-0.73 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.04 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებზე მაღალი მნიშვნელობა 0.73 მგ/ლ (2.4 ზდკ) დაფიქსირდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში სექტემბერში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, დარიშხანის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ლუხუნი (ზოგადი დახასიათება) - მდ. ლუხუნის წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 3 კვეთზე: ურავი ზედა, ურავი ქვედა და შესართავი. სულ აღებული იქნა 20 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.7-1.97 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.08-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.293 მგN/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 1.1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში შესართავთან. მინერალიზაცია მერყეობდა 116.6-235.4 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 235.4 მგ/ლ აღინიშნა აპრილის თვეში ასევე შესართავთან. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.81 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1532 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.81 მგ/ლ (2.7 ზდკ) აღინიშნა მხოლოდ ერთხელ ივლისის თვეში შესართავთან.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, კალციუმის, მაგნიუმის, თუთიის, დარიშხანის, მანგანუმის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ლუხუნი, ზედა კვეთი ს.ურავთან - სულ აღებული იქნა 4 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.7-1.82 მგ/ლ-ის ფარგლებში, მინერალიზაცია მერყეობდა 116.6-191.6 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 191.6 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, დარიშხანის, მანგანუმის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს

მდ. ლუხუნი, ქვედა კვეთი ს.ურავთან - სულ აღებული იქნა 4 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ იცვლებოდა 0.98-1.93 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 130.8-215.2 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 215.2 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, დარიშხანის, მანგანუმის, რკინის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ლუხუნი, შესართავთან - მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.93-1.97 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ამონიუმის აზოტი - 0.08-1.1 მგN/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.365 მგN/ლ. მაქსიმალური მნიშვნელობა 1,1 მგN/ლ (2.8 ზდკ) აღინიშნა მაისის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 118-235.4 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 235.4 მგ/ლ აღინიშნა აპრილის თვეში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.02-0.81 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.20 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებზე მაღალი მნიშვნელობა 0.81 მგ/ლ (2.7 ზდკ) აღინიშნა მხოლოდ ერთხელ ივლისის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, დარიშხანის, მანგანუმის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ხანისწყალი - მდ. ხანისწყალის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე სოფ. ვარციხესთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.96-1.38 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 96.7-191.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 191.1 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, მანგანუმის, რკინის, დარიშხანის, სპილენძისა და ტყვიის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. გუბისწყალი - მდ. გუბისწყალის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე შესართავთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა ძირითადად იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.38-2.05 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია ყველა სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და ის მერყეობდა 0.41-0.90 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 0.90 მგN/ლ (2.3 ზდკ) აღინიშნა მარტის თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 209.2-264.5 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 264.5 მგ/ლ ასევე აღინიშნა მარტის თვეში. რკინის კონცენტრაციები

მერყეობდა 0.06-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.17 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.42 მგ/ლ (1.4 ზდკ) დაფიქსირდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში დეკემბრის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, მანგანუმის, დარიშხანის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ლაგობა - მდ. ლაგობას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ქ. სამტრედიასთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ⁵ მერყეობდა 1.47-3 მგ/ლ-ის ფარგლებში, ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია კი 0.13-1.19 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისი მნიშვნელობა სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მაქსიმუმი აღინიშნა სექტემბერსა და დეკემბერში და მან შეადგინა 1.19 მგ/ლ (3.1 ზდკ). მინერალიზაცია მერყეობდა 237.2-499.7 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 499.7 მგ/ლ აღინიშნა მარტის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, რკინის, დარიშხანის, მანგანუმის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ჩხერიმელა - მდ. ჩხერიმელას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე დ. ხარაგაულთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ⁵ იცვლებოდა 0.98-1.38 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 142.5-254.8 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 254.8 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, მანგანუმის, დარიშხანის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ.ძირულა - მდ. ძირულას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე შესართავთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.98-1.88 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.22-0.62 მგN/ლ-ის ფარგლებში. ზღვრულად დასაშვებზე მაღალი კონცენტრაცია აღინიშნა მხოლოდ ერთხელ მარტში აღებულ სინჯში და მან შეადგინა 0.62 მგN/ლ (1.6 ზდკ). მინერალიზაცია მერყეობდა 95.8-211.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 211.3 მგ/ლ აღინიშნა სექტემბრის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, მანგანუმის, დარიშხანის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. აბაშა - მდ. აბაშის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე შესართავთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.88-1.85 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 144.7-221 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 221 მგ/ლ აღინიშნა დეკემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას სამ სინჯში და ის მერყეობდა 0.22-0.62 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა აღინიშნა ივნისში და მან შეადგინა 0.62 მგN/ლ (1.6 ზდკ). რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.08-0.37 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.21 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი კონცენტრაცია აღინიშნა მხოლოდ ერთხელ, დეკემბრის თვეში აღებულ სინჯში და მან შეადგინა 0.37 მგ/ლ (1.2 ზდკ).

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, მანგანუმის, დარიშხანის, ტყვიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ხობი - მდ. ხობის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ს.მუხურთან. აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.37-2.88 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 94.2-112.6 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმუმი 112.6 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში.

ნიტრიტის, ნიტრატისა და ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ჩხოუშია (ზოგადი დახასიათება) - მდ. ჩხოუშიას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 2 კვეთზე ქ.ზუგდიდის ზემოთ და ქ.ზუგდიდის ქვემოთ. ზედა კვეთზე აღებული იქნა 3 სინჯი, ხოლო ქვედაზე - 1 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.77-2.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 105.7-161.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.33-0.94 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმუმი აღინიშნა ოქტომბერში ქვედა კვეთზე და მან შეადგინა 0.94 მგN/ლ (2.4 ზდკ). რკინის კონცენტრაცია 0.31 მგ/ლ მხოლოდ ერთ, ზუგდიდის ზედა კვეთზე ივნისის თვეში აღებულ სინჯში უმნიშვნელოდ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას,

ნიტრიტისა და ნიტრატის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ჩხოუშია. ზედა კვეთი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.77-2.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 105.7-160.7 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმუმი 160.7 მგ/ლ აღინიშნა მარტში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.33-0.67 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმუმი 0.67 მგN/ლ აღინიშნა ოქტომბერში და მან შეადგინა 1.7 ზდკ. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.06-0.31 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი კონცენტრაცია 0.31 მგ/ლ უმნიშვნელოდ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას მხოლოდ ერთ, ივნისის თვეში აღებულ სინჯში.

ნიტრიტისა და ნიტრატის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ჩხოუშია. ქვედა კვეთი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. მინერალიზაციამ შეადგინა 161 მგ/ლ. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია ტოლი იყო 0.94 მგN/ლ-ის (2.4 ზდკ).

ნიტრიტისა და ნიტრატის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მესტიაჭალა - მდ.მესტიაჭალას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ქ.მესტიასთან. აღებული იქნა 2 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.43-2.28 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 111.3-132.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 132.0 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.35-0.86 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისი მნიშვნელობა მხოლოდ ივნისში აღებულ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და მან შეადგინა 0.86 მგN/ლ (2.2 ზდკ). რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.25-0.73 მგ/ლ-ის ფარგლებში, მისი მნიშვნელობაც აღემატებოდა დასაშვებ ნორმას მხოლოდ ერთ, ივნისში აღებულ სინჯში და მან შეადგინა 0.73 მგ/ლ (2.4 ზდკ).

ნიტრიტისა და ნიტრატის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ტეხურა - მდ.ტეხურას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ქ.სენაკთან. აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.96-2.5 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია 159-203.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 203.1 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.1-0.49 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მხოლოდ ერთ, ოქტომბერში აღებულ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და მან შეადგინა 0.49 მგN/ლ (1.3 ზდკ). რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.04-0.62 მგ/ლ-ის ფარგლებში, მისი მნიშვნელობაც

აღმატებოდა დასაშვებ ნორმას მხოლოდ ერთ, ოქტომბერში აღებულ სინჯში და მან შეადგინა 0.62 მგN/ლ (2.1ზდკ).

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, მანგანუმის, დარიშხანის, თუთიისა და სპილენძის კონცენტრაციები არ აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. დოღრა - მდ.დოღრას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ს.ბეჩოსთან. აღებული იქნა 2 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.22-2.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 117.0-160.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 160.3 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში.

ნიტრიტის, ნიტრატისა და ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ნაკრა - მდ.ნაკრას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ს.ნაკრასთან. აღებული იქნა 2 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.2-1.98 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 93.5-108.8 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 108.8 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში.

ნიტრიტის, ნიტრატისა და ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ნესკრა - მდ.ნესკრას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ს.ჭუბერთან. აღებული იქნა 2 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.72-1.32 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 70.8-93.6 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 93.6 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში.

ნიტრიტის, ნიტრატისა და ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ენგური (ზოგადი დახასიათება) - მდ.ენგურის წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 4 კვეთზე: ს.დარჩელი, ს. შამგონა, ს. ხაიში და შესართავთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.04-3.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 103.1-304.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 304.3 მგ/ლ აღინიშნა ნოემბრის თვეში ს. შამგონასთან.

ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მხოლოდ ერთ, მარტში ს.შამგონასთან აღებულ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და მან შეადგინა 0.49 მგN/ლ (1.3 ზდკ). რკინის კონცენტრაცია სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას. მისი უდიდესი კონცენტრაცია დაფიქსირდა მაისის თვეში შესართავთან და მან შეადგინა 0.71 მგ/ლ (2.4 ზდკ).

ნიტრიტისა და ნიტრატის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ენგური, ს. დარჩელი - აღებული იქნა 4 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.79-2.81 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 133.5-205.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 205.0 მგ/ლ აღინიშნა ოქტომბერში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.1-0.33 მგ/ლ-ის ფარგლებში. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.33 მგ/ლ აღინიშნა მხოლოდ ერთ, ოქტომბერში აღებულ სინჯში და ის 1.1-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ენგური, ს. შამგონა - სულ აღებული იქნა 4 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.60-2.52 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 124.7-304.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური

მნიშვნელობა 304.3 მგ/ლ აღინიშნა ნოემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მხოლოდ ერთ, მარტში აღებულ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს და მან შეადგინა 0.49 მგN/ლ (1.3 ზდკ). რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.04-0.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.42 მგ/ლ აღინიშნა მხოლოდ ერთ, ივნისში აღებულ სინჯში და ის 1.4-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ენგური, ს.ხაიში - სულ აღებული იქნა 2 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.71-1.87 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 103.1-187.0 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 187.0 მგ/ლ აღინიშნა ოქტომბრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, დარიშხანის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ენგური, შესართავთან - სულ აღებული იქნა 2 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 1.04-3.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 141.37-184.50 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 184.50 მგ/ლ აღინიშნა ნოემბერში. რკინის კონცენტრაცია მერყეობდა 0.19-0.71 მგ/ლ-ის ფარგლებში. ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე მაღალი მნიშვნელობა 0.71 მგ/ლ აღინიშნა მხოლოდ ერთ, მაისში აღებულ სინჯში და ის 2.4-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატებისა და ქლორიდების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. კინტრიში - მდ. კინტრიშის წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 1 კვეთზე ქ. ქობულეთთან. სულ აღებული იქნა 13 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.92-3.21 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია კი 50.7-107.1

მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 107.1 მგ/ლ აღინიშნა იანვრის თვეში.

ამონიუმის, ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიის, მანგანუმისა და ნავთობპროდუქტების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ყოროლისწყალი - მდ. ყოროლისწყლის წყალზე ჰიდროქიმიური დაკვირვება წარმოებდა 1 კვეთზე ქ. ბათუმში. სულ აღებული იქნა 13 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ იცვლებოდა 0.62-7.45 მგ/ლ-ის ფარგლებში, მაქსიმალური მნიშვნელობა 7.45 მგ/ლ (1.2 ზდკ) აღინიშნა აგვისტოს თვეში. მინერალიზაცია მერყეობდა 55.9-144.3 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 144.3 მგ/ლ აღინიშნა ოქტომბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0-0.66 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1405 მგN/ლ, მაქსიმალური მნიშვნელობა 0.66 მგN/ლ (1.7 ზდკ) აღინიშნა ივლისის თვეში.

ნიტრატისა და ნიტრიტის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიის, მანგანუმისა და ნავთობპროდუქტების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

